№ 36 | 1877—1897 | № 36

პარასკევი, 28 თებერვალი 1897 წ.

# ივერია

**ხაზუთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 28 თებერვალს, ქალაქის საბჭო გარდა მორიგ საქმეებისა, რომლის განხილვაც 24 თებერვალს ვერ მოასწრო, ბ-ნ ა. ა. ივანენკოს მოხსენებასაც განიხილავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეგებოს ქალაქი კავკასიის მთავარმართებელს თავ. გოლიცინს, რომელიც 9 მარტს ჩამოვა ტფილისში.

*** ჩვენ გავიგონეთ, რომ ქალაქის გამგეობისათვის ზოგიერთ მანდილოსანთ მიუმართავთ და უთხოვნიათ, სასანიტარო რაზმებში მუშაობა გვსურს და სასანიტარო მზრუნველების თანაშემწედ დაგვნიშნეთო. გამგეობა ამ საგანს განიხილავს და შემდეგ გუბერნატორს მოახსენებს.

*** კავკასიის მთავარმართებლის დროებით მოადგილეს თავ. ამილახვარს ნება დაურთავს კავკასიის სტიპენტიანტებად დანიშნულ იქმნან: მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ნიკოლოზ ელიავა და თავ. ლეონიდე მაყაშვილი, ფიზიკო-მათემატიკის—ნიკოლოოზ გერვასია და საექიმოსი—კონსტანტინე ელიოზიშვილი; ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტისა—ივანე სტანიშევსკი და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა—ანატოლი სტასენკოვი.

*** ინგლისის ერთ სავაჭრო ფირმის აგენტს მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევისათვის უცნობებია, რომ ხსენებული ფირმა ფუთს შაბიამანს ბათუმში 3 მან. და 30 კაპ. ჩაგაბარებს და ფუთს გოგირდს 70 კაპ. ამასთანავე დამოკნის ბაქსაც ფირმა იკისრებსო.

როგორც ვუწყით, ფუთი შაბიამანი ტფილისში ჰფასობს 5 მანეთზე არა ნაკლებ და—გოგირდი 2 მან. 20 კაპ. არა ნაკლებ.

*** დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში კვლავ სჯა-ბაასი იქმნება იმის შესახებ თუ, როგორ მოეწყოს, რომ რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებას და სოფლის მწარმოებელთ პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდეთ ერთმანეთთან.

*** ხმა დადის, რომ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე—გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე 15 მარტს ჩამოვა ტფილისშიო.

*** როგორც გაზ. „კავკაზი" გვაუწყებს, სოფ. დოისში თავ. ნიკ. ციციშვილის სახლისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ცეცხლი წაუკიდებია. სხვა ნივთების გარდა, პატრონს 60 კოდი პურიც დასწვია. ცეცხლს სამას თუმნამდის ზარალი მიუცია.

*** 1881 წელ. სოხუმში ბ-ნ ვედენსკის ბაღში ფილოქსერა აღმოჩნდა და მის მოსასპობლად, კავკასიის საფილოქსერო კამიტეტის განკარგულებით, საფილოქსერო დასმა წყალი მიუგდო ბაღსა. ეხლა, როგორც გაზ. „კავკაზს" გაუგონია, ბ-ნი ვედენსკი მთავრობასა სთხოვს თურმე, რომ საფილოქსერო კამიტეტის განკარგულებამ 16,268 მან. 50 კაპ. ზარალი მომცა და მიზღეთო.

*** 26 თებერვალს ქალაქის გამგეობას ექიმებად მიუწვევია: მიხეილ გედევანიშვილი, მიხეილ შავერდოვი და ექიმი ქალი ოსიპოვისა.

*** ბათუმი. 23 თებერვალს დილის მატარებლით აქ ჩამოვიდნენ ორნი სპარსეთის ქვეშევრდომნი სომხები, გვარად გრიგორიანცები, და ჩამოხდნენ აქაურ პირველ ხარისხიან სასტუმროს „იმპერიალში". 24 თებერვალს დილის 10 საათზედ, აქაურმა პოლიციამ ტფილისიდგან დეპეშა მიიღო, რომ შეეპყრათ გრიგორიანცები. ბათუმის ქალაქის პოლიცმეისტერი მ. მ. ეგოროვი, დაფაცურდა, მაგრამ ყოველმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. 27 თებერვალს ცხრა საათს აქეთ ცამ ჩაჰყლაპა თუ მიწამ, გრიგორიანცების ამბავი აღარავინ იცის. 25 თებერვალს, დილის 9 საათზედ, მ. მ. ეგოროვისა, მთელის პოლიციისა და სხვათა თანადასწრებით, გააღეს გრიგორიანცების ოთახი და აი რა აღმოჩნდა: ერთს „ჩემოდანში" იყო გენერალ-მაიორის პალტო, შარვალი და ქუდი. ჩოხა ძველი, ქამარი, ხანჯალი და ერთი კაპიტანის სერთუკი. მეორე „ჩემოდანში" ძლაგა აგურები. მესამე უფრო მოზრდილი სკივრი-კი გატენილი იყო ქვა მარილით. აგრეთვე იყო ქაღალდებიც, ხოლო დაუწერელი. სხვა ხელ-ნაწერი ვერა იპოვეს რა. სასტიკი ღონის ძიებანია ნაღონი გრიგორიანცების შესაპყრობად.

*** ბათუმი. ბათუმიდგან ბ-ნი გ. გრიგორიანცი სწერს გაზეთ „მშაკს": დღეს, თებერვლის 24-ს, აქ მცხოვრებელი ბერძნები უეცრად სიხარულით აღივსნენ, ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ქუჩებში და მღეროდნენ. მიზეზი ის იყო, რომ საბერძნეთის მთავრობას ჯარში გაუწვევია თავისი ის ქვეშევრდომნი, რომელნიც 1864—1873 წლებში დაბადებულან. ეს ბრძანება მიუღია პეტერბურგს საბერძნეთის ელჩსა და იმასაც წერილით უცნობებია რუსეთში მყოფ საბერძნეთის ელჩებისათვის. აქაურმა ელჩმაც დღეს, ბრძანების მიღებისათანავე, თითქმის ყველა ბერძენთა ყავახანაში გააკვრევინა განცხადებანი, რომელშიაც აღნიშნული იყო საბერძნეთის მთავრობის განკარგულება. კრიტის აჯანყების შემდეგ ბერძენი საზოგადოება თითქოს იმას ელოდებოდა, რომ საჩქაროდ სამშობლოს მისაშველებლად წასულიყო. მხოლოდ დღეს ეს წადილი აუსრულდათ და იმათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა): 21 თებერვალს, ბაირამობის დღეს, ჩვენში ერთი უბედურება მოხდა სოფელ ვაიოში. სოფელ ქედის მცხოვრებთ სამ ძმას ხაზაზიშვილებს ჰყავდათ მტერი, სოფელ კვაშიტის მცხოვრები იაყოფ-ახმედ-ოღლი. ამ დღეს ხაზაზიშვილები მიდიოდნენ ნათესავებთან ბაირამის მისალოცავად, იაყოფა და მისი ნათესავები ჩაუსაფრდნენ ვიწრო გზაში და ესროლეს თოფები, ამათაც თოფებითვე უპასუხეს. ხაზაზიშვილებმა მოჰკლეს იაყოფა და ერთი იმისი ამხანაგი. ხაზაზიშვილებიდგანაც ერთი თავშია დაჭრილი, მაგრამ სასიკვდილო არა სჭირთ-რა.

*** როგორც გაზ. „კავკ. სელ. ხოზ." მოგვითხრობს, საქარის სანერგეს აქამდის ერთობ ვიწრო და უხერხული სადგური ჰქონია, რაიცა იქაურ მოსამსახურეთ ძლიერ ხელს უშლიდა თურმე რიგიანად საქმის გაკეთებას. ეხლა ეს ნაკლი თავიდგან აუცილებიათ და ხსენებულ სანერგეში მშვენიერი შენობები აუგიათ, რომელნიც 23 თებერვალს უკურთხებიათ კურთხევას დასწრებიან: მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნ მედვედევი, კანტროლის პალატის გამგე ბ-ნი ბუტირკინი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი გეევსკი, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის უფროსი ბ-ნი ზელენინი და სხ.

*** სოფ. კლდეეთი. (შორაპნის მაზრა). ჩვენის სოფლის ეკლესია ისე არის დაზიანებული, რომ ლამის დაინგრეს. იმისი ასე დატოვება ერთობ საშიშია, რადგან მლოცველებს რა დროს ჩამოენგრევა თავზედ, არავინ იცის. სხვა არავინ არის პატრონი, ჩვენ დეკანოზის დავ. ღამბაშიძის იმედი გვაქვს, რომლის საბლაღოჩინოშიაც არის ჩვენი სოფელი, რომ იქნებ იმან გვიშველოს განსაცდელისაგან და ეკლესიის შეკეთება მოახერხოს როგორმე.

*** სოფ. წალკა. (ბორჩალოს მაზრა) 27 იანვარს ვიღაც ნალბანდიანი, სასიძოდ გამოწყობილი საპატარძლოთი ჯვრის დასაწერად ეკკლესიაში მიდენილან. მეჯორწინეებთან, რაღა თქმა უნდა, იმათი ნათესავები და მეზობლებიც ყოფილან. სანამ ეკკლესიაში შევიდოდნენ, მეჯორწინეთ იმავე სოფლის 5 გლეხი დასცემია თავს იმ განზრახვით, რომ საპატარძლო მოეტაცნათ. დაუშენიათ მეჯორწინეთათვის კეტები, ქვები უსროლიათ და ბოლოს ხანჯლებიც ამოუღიათ. თავიანთი განზრახვა ბოროტ განზრახულებს ვერ შეუსრულებიათ, რადგან მეფედედოფალს ეკკლესიაში შეუსწრიათ.

—◆◆—

## ფელეტონი

—

**ბიბლიოგრაფია ჩვენს მწერლობაში.**

ჩვენ ერთ დიდ ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ ბიბლიოგრაფიას მეტად მცირე ალაგი უჭირავს ჩვენს მწერლობაში. ბიბლიოგრაფია, როგორც უნდა გვესმოდეს ეს დარგი მწერლობისა, თითქმის არა გვაქვს. ამ დარგს მწერლობისას ჯერ ყურადღებას არ ვაქცევთ და თუ მაინცა და მაინც დაწერილა მისი მზგავსი რამ რომელისამე წიგნის შესახებ, ისიც იმისთანა, რამდენისამეს გარდა, რომ მკითხველს არ ძალ-უძს ცოტა მაინც გარკვეული აზრი შეადგინოს წიგნის შესახებ. ჩვენს ბიბლიოგრაფიაში თვით თხზულების საგანს არც-კი შეეხებიან, მხოლოდ ბიბლიოგრაფი დაუწყებს ხოლმე მკითხველს, რომ ამან-და ამან გამოსცა ამა-და-ამ სათაურით წიგნი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, ღირს ამდენიო. ან ძვირია, ან იაფიო. მორჩა და გათავდა. რაც შეეხება წიგნის საგანს, მისს ავ-კარგიანობას და შემუშავებას ავტორის მიერ,—ამისას არას აუწყებს მკითხველს. ბიბლიოგრაფიას-კი სხვა მწერლობაში, როგორც, მაგალითად რუსეთისაში, ძალიან საპატიო ალაგი უჭირავს. ყველა ჟურნალებში მთელი განყოფილება აქვს დათმობილი ბიბლიოგრაფიას. რედაქციებს ჰყავთ თანამშრომლები, რომელნიც განსაკუთრებით ახალ-ახალ გამოცემულ წიგნებს ადევნებენ თვალ-ყურს და სწერენ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს. ჟურნალ-გაზეთებს თავი დავანებოთ. ცნობილის სამეცნიერო წიგნების გამომცემელ ქალს პაპოვისას თავისის წიგნების კატალოგში ყოველ წიგნის სათაურის შემდეგ მოთავსებული აქვს აქა-იქა ჟურნალ-გაზეთებიდგან ამოღებული ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. მაგალითად, კატალოგში არის მოყვანილი ამ ნაირი წიგნის სათაური: „Законодательство и нравы въ Россіи XVIII вѣка." ამ სათაურის ბოლოში მოყვანილია ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ამოღებული: „Недѣля, „Енисей"-დგან და, ასე წარმოიდგინეთ, „Новое обозрѣніе"-დგანაც-კი. ზოგ წიგნების სათაურს აქვს ბოლოში მოთავსებული არა ერთი და ორი შენიშვნა, არამედ 4—5 და მეტიც, როგორც მაგ.,: „Статьи по исторіи русскаго права",—Дитятина; „Собраніе сочиненій" — Добролюбова,— „Паденіе античнаго міросозѣрцанія"—Карелина *) და სხვა.

აქედგან ნათლად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა მნიშვნელობიანადა სთვლის რუსეთის მწერლობა ბიბლიოგრაფიას და ეს მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, მკვიდრს საფუძველზედ უნდა იყოს დამყარებული: გამოდის ახალი წიგნი საგულისხმო სათაურით. მკითხველი ყიდულობს (იქნება უკანასკნელი გროშები გაიმეტა, რომ შეეძინა), მიდის შინ, გულ-მოდგინეთ იწყებს კითხვას, მაგრამ, გადაიკითხავს ერთს-ორს გვერდს თუ არა, შემოიკრავს შუბლში ხელს და, რასაკვირველია, ჯერ წიგნის ავტორს შეუთვლის კურთხევას და შემდეგ გულის ტკენით მოაგონდება უბრალოდ გადაყრილი გროშებიც. თუ ისეთს კაცს მოუვიდა ამისთანა შეცდომა, რომელსაც შეუძლიან ასწონ-დასწონოს წიგნის ღირსება და ნაკლულევანება, ჯანი გავარდეს, კიდევ არა უშავს რა, წიგნი ვერავითარს ზარალს ვერ მოუტანს და მოტყუებული მკითხველი ფულის მეტს არას დაჰკარგავს, მაგრამ ის არის უბედურება, თუ ამ ნაირი წიგნი ხალხში გავრცელდა. არ იქნება, რომ ცოტა მაინც ხენეში ნაყოფი არ გამოიტანოს და ბევრს ახალგაზდა, ნორჩს მკითხველს დუხჭირი აზრი არ ჩაუნერგოს ამა თუ იმ საგნის შესახებ. აი სწორედ აქ არის საჭირო ბიბლიოგრაფია. უკანასკნელი აცდენს შეგნებულს მკითხველს მეტს ხარჯს და შეუგნებელს—ხარჯსაც და ცრუ, მახინჯ აზრების შეთვისებასაც. ბიბლიოგრაფია საჭიროა არა მარტო მკითხველთათვის, არამედ თვით ავტორისათვისაც. ავტორი ბიბლიოგრაფიიდგან გაიგებს თავისს სუსტს მხარეს, ამა თუ იმ ნაკლს და იგი საშუალებას მისცემს დააკვირდეს და უფრო ფრთხილად მოეკიდოს შემდეგ სამწერლოდ ამორჩეულს საგანს.

ბიბლიოგრაფია სასარგებლოა ნათარგმნ წიგნებისათვისაც. თარგმანისათვის საჭიროა როგორც საფუძვლიანი ცოდნა ორისავე ენისა, აგრეთვე განვითარებული გონებაც. საუბედუროდ, ჩვენში ბევრი იმისთანა სთარგმნის, რომელმაც არამც თუ თავისი ენა, არამედ ის ენაც სუსტად იცის, რომლითაც დედანია დაწერილი. რასაკვირველია, არც ცოდნა შესწევს და არც განვითარება ასეთის საქმისათვის. აბა ამ გვარ მთარგმნელისაგან რას უნდა მოელოდეს მკითხველი.

მით უმეტესად უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ბიბლიოგრაფიას, რომ ეხლა დაიწყო ჩვენს მწერლობაში თარგმანების ხანა და თუმცა ჯერ-ჯერობით ბევრი არ ითარგმნება, მაინც გამოდის ერთი ორი წიგნი, და რაც დრო გავა, იმდენად,

*) Каталогъ Изданій 1894—1896 О. Н. Поповой.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. შილდა**, (თელავის მაზრა). 9 თებერვალს აქ მოვიდა თელავისა და თიანეთის მაზრათა საეკკლესიო სამრევლო სასწავლებლის მეთვალყურე მამა ნ. ჯაჯანიძე იმ განაჩენის შესავსებ-შესასწორებლად, რომლის ძალითაც ს. შილდაში უნდა დაარსდეს უწმიდესის სინოდის ხარჯით და შილდელების დახმარებით მეორე კლასის საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. ჩვენ ვამბობთ „განაჩენის შესასწორებლადაო“ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 1896 წელს შილდელებმა ადგილობრივის ინტელიგენციის რჩევით შეადგინეს ხსენებულ სასწავლებლის შილდაში დაარსების განაჩენი და გაჰგზავნეს სადაც ჯერ იყო. როგორც ეხლა გამოირკვა, ეს განაჩენი წესიერად არ იქმნა შედგენილი, და ამიტომ უკანვე წარმოგზავნეს შესავსებლად. მამა ჯაჯანიძე შეეკითხა ხალხს: გსურთ თუ არა სასწავლებლის დაარსებაო? ხალხის მომეტებულმა ნაწილმა თანხმობა განაცხადა და დაადგინეს ახალი განაჩენი. ამ განაჩენის ძალით სოფელი შილდა კისრულობს: სასწავლებელს მისცენ ეზოდ ის ადგილი, რომელიც მდებარეობს სოფლის შუაგულ ჯვარ პატიოსნის ეკკლესიის გვერდით, ზომით 400 ოთხ კუთხ საჟენამდე, მისცეს აგრეთვე ბაღისათვის ადგილი სასწავლებლიდგან 150 საჟ. მოშორებით სამი დესეტინა, რომელსაც სარწყავი წყალი შიგვე ჩამოუდის, გვერდზედ აკრავს სახელმწიფო ტყე და მეტად მოხერხებული ალაგია. მთელის ოთხის საზოგადოების ხალხი ამ მამულს გვერდზედ მდებარე გზით დაიარება და ხშირად, რასაკვირველია, ნათლად დაინახავს ასე თუ ისე გაუმჯობესებულს წეს-რიგს მეურნეობის რომელსამე დარგისას. საზოგადოებამ იკისრა აგრეთვე მოამზადოს და მოზიდოს რაც შენობას ქვა და ქვიშა მოუნდება და აგრეთვე სხვა მასალაც თავისის ხარჯით. ყველა ეს დახმარება, ფულად რომ ვიანგარიშოთ, 2,000 მან. შესდგება.

საინტერესოა ერთი აზრი, რომელიც ამ კრებაზედ წარმოსთქვა ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებელმა, გასუქებულმა სომეხმა. წინააღმდეგი იყო იგი სასწავლებლის დაარსებისა და არ იცოდა როგორ ჩაეშალა საქმე, ეს მოიგონა: „წუხელ ჯვარ-პატიოსანი გამომეცხადა და მითხრა, თუ სასწავლებელს ჩემს გვერდით ააშენებთ, შილდას წელიწადში ათჯერ დავსეტყვავო.“ ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე, რომ მითქმა-მოთქმა შეიქმნა და ხალხი პირჯვარს იწერდა, მაგრამ ინტელიგენციის დახმარებით ხალხმა აზრი ისევე შეიცვალა. თუმცა სასწავლებლის დაარსებას ბევრი მტერი გამოუჩნდა, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ მოკეთე გაცილებით ბევრი აღმოჩნდა. თვით გლეხთა შორისაც ბევრნი იყვნენ თავ-გამოდებით მოწადინებულნი სასწავლებლის დაარსებას, მაგალითებრ სიკო კაკოიაშვილი, ივანე ჭანკოტაძე, ს. გოთაძე, ს. ბაბაქიშვილი, შეძლებული და პატივცემული გლეხი მჭედლიშვილი, მამასახლისი, ნაცვალი კ. გოიშვილი და მრავალნი სხვანი.

შვეე ერთი წელიწადია რაც შილდაში შესდგა სავაჭრო ამხანაგობა, რომლის წლიურმა ანგარიშმა დაამტკიცა, რომ მოთავეთ გონივრულად, საქმის ცოდნით და სიფრთხილით მიჰყავთ საქმე. წევრთ დივიდენდი 15°/₀ წმინდა მოგება შეხვდათ და გლეხობა, როგორც ყოველთვის უნდობი ყოველგვარის ახალის საქმის, დღეს ნათლად ჰხედავს დეპოს სარგებლობას და შემწეობას ამლევს ვაჭრობით და საწევრო ფულით. მართალია ზოგიერთმა ადგილობრივმა ცრუ ინტელიგენტებმა დეპოს პირველად ეჭვის და შურის თვალით შეჰხედეს, მაგრამ დღეს ურწმუნო თომათაც ნება-უნებურად თავი უნდა მოიხარონ პინამდვილის წინაშე და უკუ აგდონ ყოველივე ეჭვი.

შილდელი.

---

### ქართველთა უბანი აფრიკის კორდზედ [1])

(წერილი ექიმის ჩ. რ. მოსტოვიჩისა. „კავკაზი“ № 53).

ჩვენის დაუღალავის, აწ განსვენებულის მოგზაურის ა. ვ. ელისეევის მოგზაურობის აღწერაში, რომელიც 3 ტომად არის გამოცემული, მოთხრობილია, რომ ელისეევი, სხვათა შორის, ყოფილა სახარას საზღვარზედ, ქალაქ უარგლაში, რომელსაც ძველად „წმიდა“ ადგილს ეძახდნენ. ამ კორდზედ უნახავს სხვა-და-სხვა ტომთა ხალხი და მათ შორის „ქართველებიც, რომელთა შთამომავლობა არავინ იცისო“. ელისეევის სიტყვით, უარგლას მცხოვრებთ სხვა-და-სხვა ფერი აქვთ კანისა: ზოგი მეტად შავია და ზოგი თეთრი; აქ შეხვდება კაცი ევროპიელ ლამაზ ქალის მსგავსს სახეს და სუდანის მახინჯ ზანგის სახესაც.

აქაურ მცხოვრებთაგან საყურადღებონი არიან ეგრედ წოდებულნი „მზობითნი“, რომელნიც ამტკიცებენ, ძველ ასსურეთიდგან ვართ გადმოსახლებულნიო. ამ „მზობითთა“ ხელშია თურმე მთელი ვაჭრობა. სახით სემიტების შთამომავლობასა ჰგვანან. ელისეევის სიტყვით, „მზობითთა“ შთამომავლობა ჯერ მეცნიერებს არ გამოუკვლევიათ. მათი სარწმუნოება თურმე საიდუმლოებით არის სავსე. თვით სახელი ამ ტომისა ქართული უნდა იყოს და ჰნიშნავს „მზის თაყვანისცემელს“ ან „ცეცხლის თაყვანისმცემელს“ და წარმოსდგება ქართულ სიტყვისაგან „მზე“. ეს სარწმუნოება, როგორც საზოგადოდ საბეიზმი, ყველა სარწმუნოებაზედ მეტად იყო გავრცელებული მთელს კავკასიაში. ამას ამტკიცებენ დაღესტანში ნაპოვნი კერპნი, რომელთა სურათები დაბეჭდილია ჩვენის ცნობილის ანტროპოლოგის ი. ი. პანტიუხოვის საყურადღებო წიგნაკში. [2]) და აგრეთვე ოსეთში ნაპოვნი კერპნი, რომლებიც ეხლა მე მაქვს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ უარგლას ახლოს მდებარე დაბებს ქართული სახელები აქვთ: „რეხი“, „სახელი“, „გერჯი“ და სხვ.

მართალია მეტად საყურადღებოა სემიტების ტომის შთამომავალთა ყოფნა უარგლაში, მაგრამ უფრო საკვირველია ამ ადგილას ქართველების ყოფნა. საიდგან და როდის გაჩნდნენ აქ ქართველები? სამწუხაროა, რომ ელისეევი, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს და ცოტათი ქართული ენაც იცოდა, მხოლოდ გაკვრით მოიხსენიებს აფრიკაში მცხოვრებ ქართველებს.

თვით ზემოხსენებული ადგილიც საყურადღებოა, რადგანაც უარგლას ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვაჭრობითა და სიმდიდრით ფინიკიას არ ჩამოუვარდებოდა თურმე. უარგლა გაშენებული იყო აწ დამშრალ, ხოლო ძველად დიდ მდინარის, იხანხარის ნაპირებზედ, რომელიც ძველად აფრიკის მეორე ნილოსად ითვლებოდა. იხანხარი ერთვოდა აფრიკის შუა-გულს მდებარე ზღვას, რომელსაც ტრიტონის ზღვას ეძახდნენ და რომელიც გაერთებული იყო ხმელთა შუა ზღვასთან. უარგლას იხსენიებენ: ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე საუკუნეში ჰეროდოტი და მეორე საუკუნეში, ქრისტეს დაბადებამდევე, სცილაქსი. ძველი მწერლები ხშირად იხსენიებენ ფარაონების გამარჯვებას აზიაში და იქიდგან მრავალ ტყვეთა წამოყვანას; ამ ძველ თქმულებათ რომ მხარი აუხვიოთ, რომელთა სიტყვით, თვით ევვიპტელნიც-კი აზიიდგან არიან წასულნი, და აბუსიმბილის წარწერებს მივმართოთ, გავიგებთ, რომ რამზესს აზიიდგან წაუყვანია მთელი ტომი, სახელად აამუ და ნუბიელთა შორის დაუსახლებია [4]). იქმნება, ეს ტომი ქართველები იყვნენ? ცნობილია, რომ ფარაონმა რამზესმა კავკასიის მთებამდე მიაღწია და ერთმა მისმა მხლებელმა, სახელად მარანმა, ქართველებს ღვინის დაყენება ასწავლა და იმათაც მისი სახელი დაარქვეს მარანს.

შესაძლებელია ისიც, რომ ქართველები ძველად აფრიკის ნაპირების მცხოვრებლებთან ვაჭრობდნენ, რადგანაც იმ დროს აფრიკაში ცხოვრება სდუღდა და ერთი სამად მეტი ხალხი სცხოვრობდა, ვიდრე ეხლა [5]). ამას ამტკიცებს მრავალი, მშვენიერი გზა, რომელიც გაიყვანეს რომაელებმა კართაგენის დაქცევის შემდეგ და აგრეთვე მშვენიერი მოსავალი ამ პროვინციისა, რომელიც 3—4 საუკუნის განმავლობაში პურს უგზავნიდა რომს და მთელს იტალიას ჰკვებავდა.

აფრიკის ქართველთა ამბავი იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროა, მის გამოკვლევას შეუდგნენ მცოდნე კაცები, რომელნიც მოიპოვებიან ქართველ ინტელიგენტთა შორის; საჭირო ფულიც, რა თქმა უნდა, მათ შორისავე აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ მიმაჩნდა საჭიროდ ამ ამბის დაბეჭდვა „კავკაზში“, რადგანაც აქ უფრო მეტი ხალხი წაიკითხავს ელისეევის მიერ მოთხრობილს ამბავს, ვიდრე იმ წიგნებში, სადაც მისი მოგზაურობაა აწერილი.

[1]) ავტორი ასე ეძახის უბანს, იმიტომ რომ, ელისეევის აღწერით, უარგლა დაყოფილია იმდენ ნაწილად, რამდენი ტომიც სცხოვრობს აქა. მაშასადამე, ქართველებსაც თავისი უბანი აქვთ.

[2]) „Пещерныя жилища на кавказѣ. 1896 г.

[4]) M. Zaborowski. Les peuples primitifs de l'Afrique. Paris. 1883.

[5]) Journal des savants. Décembre 1896, „La Tunisie“.

---

# რუსეთი

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს საყოველთაო ბრძანება გაუცია, რომ ახალის, 1891 წლის, კანონისამებრ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მამულებში სასტიკად უნდა აეკრძალოთ მონადირეთ გაზაფხულობით ნადირობა, რადგანაც ამ დროს ფრინველი და ნადირნი ბარტყობენო.

—

გენერალ-ლეიტენანტის ჟილინსკის თავმჯდომარეობით შემდგარი კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს თურქესტანის ურწყავ ადგილებში წყლის გაყვანა, უკვე შესდგომია თავის საქმეს. არხები უნდა გაკეთდეს ფერგანისა და სამარყანდის ოლქებში და აგრეთვე, „მშიერ უდაბნოს“ ერთ ნაწილში. ამ საქმის ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, რომ განზრახულ არხების გაყვანას მოუნდება შვიდი მილიონი და ხუთი ათასი მანეთიო. კამისიას ორი სხდომა უკვე ჰქონდა, მაგრამ რადგანაც კრებას ზოგიერთი ცნობები დასჭირებია მოსარწყავ ადგილე[?]ის შესახებ, კამისიას ერთი ინჟენერი გაუგზავნია ამ ცნობების შესაკრებად.

—

---

რასაკვირველია, იმრავლებს რიცხვი თარგმანებისა. თუ ბიბლიოგრაფია არ გვექნება და ყოველი ახალი წიგნი ორიგინალური, თუ ნათარგმნი არ იქმნება კრიტიკის თვალით განხილული, ბევრი დამახინჯებული წიგნი გავრცელდება ხალხში.

ამიტომ ზემო მოყვანილ მოსაზრებით სასურველია უფრო ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ მწერლობის დარგს ჩვენმა რედაქციებმა, თვალყური ადევნონ ყოველს ახალს გამოცემას და შეძლებისა-და გვარად მოათავსონ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ერთი ცუდი ზნე გვჭირს ქართველებს — ვერ ვინელებთ სხვის აზრს, მსჯელობას. თუ გაარჩიეთ თხზულება და ჰპოვეთ ნაკლულევანება, მაშინ ვაი თქვენი ბრალი!.. ავტორი თხზულებისა თავს ლაფს დაგასხამთ და მტრად ჩაგთვლით. მართალია, ჩვენი კრიტიკა ჯერ უფრო ლანძღვა-თრევაა, ან ქებადიდება, რომელშიაც კრიტიკოსი არა ჰზოგავს ავტორის შესამკობლად პრტყელსა და ფერადს ფრაზებს. უფრო მეტად კრიტიკა შეეხება წვრილმანებს, კმაყოფილდება ორის, სამის ამოწერილის ფრაზით და ნაღველით და გესლით აღსავსე დაცინვით. ამის შესახებ-კი, თუ რა აზრით ხელმძღვანელობდა წიგნის ავტორი, როგორ განახორციელა იგი და, თუ ვერ განახორციელა, როგორ უნდა აესრულებინა — არაფერს არ ამბობს. კრიტიკოსი იმდენად თხზულების ავ-კარგის გარჩევას არა სცდილობს, რამდენადაც ავტორის დამცირებას საზოგადოების წინაშე და თავისის თავის მოწონებას.

ამ ნაირი მოვლენა მწერლობაში, რასაკვირველია, არ არის სასიქადულო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი კრიტიკა (თუ გვაქვს) ჯერ ნორჩია, არ არის ჯერ დამყარებული მკვიდრს ნიადაგზედ ɗ დასაწყისში-კი იგი კიცხვა-კილვის გზას ვერ აუხვევს. ზემოდა ვსთქვით, რომ ცუდი ზნე გვჭირს, ვერ ვინელებთო სხვის აზრს, მსჯელობას, რომ თუ გაარჩიე თხზულება და ჰპოვე ნაკლულევანება რამ, ავტორი თხზულებისა თავს ლაფს დაგასხამთ და მტრად ჩაგთვლისო. სწორეთ ამ თავს ლაფს-დასხმას და მტრობას ვერიდებით. ასეთს რიდს და კრძალვას-კი განა ადგილი უნდა ჰქონდეს აქა?.. ეჰ, როგორ აღვნიშნო მისი წიგნის ნაკლულევანება, როგორ ვაწყენინო, როგორ მოვიმდურო ჩემი კარგი ნაცნობი, ეწყინებაო, ვფიქრობთ. ბ-ნო, თუ კარგი შენი მეგობარია და ეწყინება — ეწყინოს, ნურც გინდა ისეთი კაცი მეგობრად, რომელსაც სამართლიანი მსჯავრი გულს ატკენს. რა ხელი აქვს კერძო მეგობარს მწერლობაში. ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის უნდა ხელვმძღვანელობდეთ გამოჩენილის რუსეთის კრიტიკოსის ნ. ჩერნიშევსკის სიტყვებით: „Кто гладитъ по шерсти всѣхъ и все, тотъ кромѣ себя не любитъ никого и ничего; кѣмъ довольны всѣ, тотъ не дѣлаетъ ничего добраго, потому-что невозможно добро безъ оскорбленія зла. Кого никто не ненавидитъ, тотъ никому ничѣмъ не обязанъ“. ჩვენი ხალხური ანდაზა კიდევ აი რას ამბობს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანა“-ო, თუმცა-კი, რასაკვირველია, უმჯობესია, რომ პირში ეძრახოს მოყვარესაცა და მტერსაც...

ორიოდე სიტყვა კიდევ. ბ-ნმა როსტომაშვილმა გამოსცა „საქართველოს ტომის სურათები“. ჩვენის აზრით, როსტომაშვილს ვერ აუსრულებია თვისი საწადელი. მთელს ალბომში ვერ მოსძებნით ერთს ლამაზს ტიპს. საქართველოს მკვიდრნი ნუ თუ ისე დამახინჯდნენ გარეგნობით, რომ ერთი ლამაზი ტიპიც ვერ მოიპოვება. საქართველოს ტომი ხომ ულამაზეს ტომათ არის აღიარებული ყველგან. გამოჩენილ საფრანგეთის სოციოლოგ შ. ლეტურნს თავის სოციოლოგია'ში ქართველი ჰყავს დახატული, როგორც წარმომადგენელი კავკასიის რასსისა. თუ-კი ლეტურნომ საფრანგეთში იპოვა ლამაზის ქართვლის სახე, საქართველოში მყოფ ბ. როსტომაშვილს რაღა დაემართა? „იმერელი ნაბადში“ არ ვიცით რად მოსწონებია გამომცემელს. ფაფანაკისა და თმის მეტი არაფერი არა აქვს ამ იმერელს ღირსეული! არც ტანი, არც შეხედულობა, არც სილამაზე სახისა. ეტნოგრაფიული და გეოგრაფიული შეცდომებიც მოსვლია ბ-ნს როსტომაშვილს. იგი ამბობს: „თუშ-ფშავ-ხევსურეთი მდებარეობს მდინარე ალაზნის, ანდაქის ყოისუს და არაგვის ხეობებშიო“ ალაზანი ტყუილად ჩაურთავს, ალაზნის მაგივრად იორი უნდა ყოფილიყო. ხევსურები თუშებად დაუსახავს. თუშები ჯვაროსნათ გაჭრელებულს ჩოხებს არ იცმენ. ასეთი ჩოხები ხევსურების ტანთსაცმელია. არ ვიცით რა შეურაცხება მიაყენეს მთიელ-გუდამაყრელებმა ბ-ნს როსტომაშვილს, რომ ისინი არ მოუქცევია თავის ალბომში.

ამ შეცდომათა მიზეზი ის არის, რომ ბ-ნი როსტომაშვილი აჩქარებულა. ამ საქმეს უფრო ბევრი დრო უნდა, დიდი დაკვირვება, ტიპების მოძებნა და იმათი სიფრთხილით ამორჩევა და არა ფოტოგრაფიებიდგან გადაღება იმისა, რაც შეჰხვდება ადამიანს. ჩვენ კიდევ ვიცნობთ ცოტა მაინც ერთი ერთმანეთს, სავალალო ის არის, რომ ალბომი გავრცელდება სხვა ქვეყნებში და აბა რა უნდა იფიქრონ საქართველოს მკვიდრთა შესახებ, მეტადრე თუ მეგრელი ქალის სურათი დაინახეს?!...

ივ. ბ—ლი

რკინის გზის მმართველობათა და სხვილ ფეხა საქონლის გამგზავნელთა შორის ხშირად უთანხმოება ასტყდება ხოლმე, იმის გამო, რომ თუ გამგზავნელი დანიშნულ დროზედ არა გაჰგზანიდა საქონელს რკინის გზით, სამის მანეთით აჯარიმებდნენ იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც საქონელი ადგილობრივ რჩებოდა ბეითალების აღკრძალვისა გამო. ახლა რკინის გზათა დეპარტამენტი აცხადებს, რომ ასეთი ჯარიმა უკანონოა და არ უნდა გარდახდეს საქონლის პატრონთაო.

—

უკანასკნელის რუსეთის ხალხთაღრიცხვის დროს ერთს აღმრიცხველს უცნაური ამბავი შეუნიშნავს: ერთის კაცის სახლში თურმე სამი სიდედრი ნახა ერთისა და იმავე კაცისა... მხოლოდ გამოკითხვის შემდეგ შეუტყვია გაკვირვებულ აღმრიცხველს, რომ სახლის პატრონი სამჯერ დაქვრივებულა და გარდაცვალებულის ცოლების სახსოვრად სამისავე ცოლის დედების შენახვა და ცხოვრება თვით უკისრია. ეს მძახლები თურმე ძალიან სიამოვნებითა სცხოვრობენ ერთმანეთთან.

# უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** ერთობილი ნოტა, რომელიც დიდთა სახელმწიფოთა ელჩებმა 17 თებერვალს საბერძნეთის მთავრობას ჩააბარეს, ჰავასის სააგენტოს სიტყვით, ამ შინაარსისაა:

„საქმის ვითარება ეხლა ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელია კრიტი საბერძნეთის სამეფოს შეუერთდეს. ვინაიდგან ოსმალეთმა დააგვიანა იმ ცვლილებათა განხორციელება, რომელთა შემოღება განზრახულ და გარდაწყვეტილ იყო, დიდმა სახელმწიფოებმა დაადგინეს—კრიტს თვითმმართველობა მიანიჭონ, მაგრამ ისეკი, რომ ოტტომანის იმპერიის ხელუხლებლობა სრულებით დაცულ იქმნას, ე. ი. კრიტის თვით-მმართველობა ხონთქრის უზენაესს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს. დიდ სახელმწიფოთა აზრით, ეს განზრახვა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა საბერძნეთის მთავრობა თავისს ჯარსა და გემებს კრიტს მოაშორებს. დიდნი სახელმწიფონი დარწმუნებულნი არიან, რომ საბერძნეთის მთავრობა კეთილ-გონიერებას გამოიჩენს და იმათ განზრახვას წინ არ აღუდგება. ელჩნი მოვალენი არიან, თანხმად მათდამი მიღებულის ინსტრუქციისა, საბერძნეთის მთავრობა წინდაწინვე გააფრთხილონ, რომ თუ ის გაჯიუტდა და თავისი ჯარი და ფლოტი ექვსის დღის განმავლობაში კრიტიდგან არ გამოიყვანა, დიდ სახელმწიფოთ გარდაწყვეტილი აქვთ—არავითარს საძალმომრეო ღონისძიებათ გვერდი არ აუარონ“.

გუშინდელ დეპეშიდგან ჩვენ უკვე ვიცით, საბერძნეთის მთავრობამ რა პასუხი მისცა დიდ სახელმწიფოთ.

ამ პროექტსო, ამბობს საბერძნეთის მთავრობა, იგივე ბედი მოელის, როგორც კრიტის მართვა-გამგეობის სხვა პროექტებს ჰქონდაო; ამიტომ საბერძნეთის მთავრობა დაბეჯითებით სთხოვს დიდ სახელმწიფოთ, ნუ ჩააცივდებით ამ თვით-მართველობის პროექტს და კრიტი საბერძნეთს შეუერთეთო; თვით კრიტელებსაც დაეკითხეთ, როგორა ჰსურთ თავიანთის ბედ-იღბლის გარდაწყვეტაო; კრიტიდგან ჯარს ვერ გავიყვანთ, რადგან იმის იქ ყოფნა წესიერების დასაცველად საჭიროა და სხ.

ერთი სიტყვით, საბერძნეთის მთავრობა ევროპის მუქარას სრულიადაც არ შეუშინდა და ისეთი პასუხი მისცა, როგორც თავისუფლების მოყვარულს ერს შეჰფერის.

—

— ამ დღეებში იტალიის პალატის დეპუტატი ბრაბატი რამდენისამე იტალიელ ვოლონტიორით ათინაში მისულა. ათინის მკვიდრთ დიდის აღტაცებით მიუღიათ ბრაბატი და იტალიის პატივსაცემლად მანიფესტაციები გაუმართავთ. იტალიაში ბევრნი არიან თურმე, რომელთაც სურთ საბერძნეთის ჯარში ჩაეწერონ. თუ საქმე გაძნელდა, ბერძენთა კამიტეტები ჰფიქრობენ, იტალიაში რამდენიმე გემი გაჰგზავნონ იმათ მოსაყვანად.

# დამაკვირდი

(შტეტენჰეიმი)

ცრემლი დედა-კაცისა წყალია, რომელშიაც დნება მხნეობა მამა-კაცისა.

***

სულელს კაცს უფრო მალე მოჰმართავ სასულელოდ, ვიდრე საათსა.

***

ხშირად ქალი მარტო იმისთვის იბუტება, რომ ხელახლად შერიგდეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ჰენრიხ იბსენი, ეს სახელ-გათქმული მწერალი, ერთი ბრწყინვალე მნათობია სკანდინავიის ცაზე. დიდხანს იღვაწა, დიდ ხანს იშრომა და იჯაფა და ბოლოს მოიპოვა საქებ-სადიდებელი სახელი როგორც მთელს ქვეყნიერებაში, ისეც თავისს ქვეყანაში, ნორვეგიაში. სახელი მოიხვეჭა დრამების წერითა და არ არის ეხლა არც ერთი ერი ევროპისა, რომ მისი დრამები არ იცოდეს, ან პირდაპირ ან თარგმანებითა. მთელი ნორვეგია მისს წინაშე თავს იხრის, აქებს და ადიდებს, ვითარცა თავისს უკეთესს და სახელოვანს შვილს. არ არის არც ერთი იმისთანა კრებული სალხინო, სადღესასწაულო, თუ სამეცნიერო, რომ პირველი ადგილი იმბსენს არ აკუთნონ, თუ-კი დაესწრება. თვითონ იბსენს ამისთანა პატივისცემა და ქება-დიდება ბევრად არად მიაჩნია. მას არ უყვარს საზოგადოებაში ყოფნა და ერთობ ხმაურობა, ლხინი, გართობა ეჯავრება. იგი ერიდება კაცს და სალაპარაკოდაც შეხვედრა ემძიმება. მარტოობა უყვარს. არც არავის იკარებს, არც არავის ეკარება. შვილი ჰყავს და იმასაც-კი არ ინახულებს თურმე.

როცა ნანსენი, სახელოვანი მოგზაური, მოვიდა ნორვეგიაში და მთელი ნორვეგია აღტაცებით მიეგება ამ მეცნიერებისათვის თავ-განწირულს და ყოვლად უშიშარს ნორვეგიელს და ყველგან და ყველანი დიდს ნადიმს უმართავდნენ სასახელოდ და სადიდებლად, საგანგებოდ ეპატიჟებოდნენ იბსენს და არსად არ წავიდა. მარტო კოროლს ეწვია ნადიმზე, "ეგეც იმისთვისაო, უთქვამს, რომ ხელმწიფისათვის არ მეწყენინებინაო. რა თქმა უნდა, იბსენსაც, როგორც ყოველს სხვას გამოჩენილს და დიდ-ბუნებოვანს კაცს, ბევრნი მოშურნენი ჰყავს და ამ მოშურნეებმა ხმა დაჰყარეს, რომ იგი ნანსენისათვის გამართულ ნადიმებზედ არ დადის იმიტომ, რომ ჰშურს ნანსენის ქება-დიდებაო. რასაკვირველია, ამისთანას მარტო სულელები იტყვიან. ჭეშმარიტი მიზეზი-კი ის არის, რომ ეს დიდი ყოფები და ამბები მისის გუნებისა არ არის. იმას უყვარს მარტოდ და დინჯად ყოფნა რომ არავითარი ხმაურობა და ჟღრიამული არ აწუხებდეს.

თუმცა ადამიანს ერიდება და სალაპარაკოდ ძნელად ვისმე მიიკარებს, მაგრამ ერთს ინგლისელს რობერტ შერარდს-კი როგორღაც მოუხერხებია საუბარი იბსენთან არა ერთხელ და ორჯერ, არამედ თითქსის ყოველ დღე, რაც ხანი დარჩენილა ნორვეგიის დედა-ქალაქში, რომელსაც ქრისტიანია ჰქვიან და საცა იბსენია დაბინავებული.

იბსენი ძნელად თუ კარგს გუნებაზეა ხოლმე. შერარდი ამბობს, რომ მთელი ერთი თთვე ვიყავი ქრისტიანეში და მარტო ერთხელ ვნახე იბსენი გაცინებულიო. ხოლო მაინც ერთს დღეს იბსენი კარგს გუნებაზე შეხვედრია და შერარდს საუბარი დაუწყვია. სხვათა შორის ჩამოუგდია ლაპარაკი დედათა საქმის თაობაზე და უკითხავს რა აზრისა ხართ ან თვით დედაკაცზე, ან დედაკაცის საქმეზე, რომელიც ასე თუ ისე მომავალში გადასაწყვეტი იქნებაო.

იბსენს გამოუთქვამს თავისი აზრი და, ჩვენა გვგონია, საინტერესო უნდა იყოს ამ გამოჩენილის კაცის აზრის ცოდნა ამისთანა საგნის შესახებ.

— როგორ თუ მომავალში? უკითხავს იბსენს: განა დედათა საქმე ყოველთვის თვალწინ არ ედგა ადამიანსა? განა დღესაც იგი ერთი უაღრესი საქმეთაგანი არ არის? არავითარი მიზეზი არა სჩანს, რომ ეგ საქმე უაღრესად არ იყოს ცნობილი დღესაც. ხოლო თუ მკითხავთ ეგრედ წოდებულს ემანსიპაციას მივაღწევთ თუ არა ამ ახლო ხანს, ესე იგი, გაუთანასწორდება თუ არა მდგომარეობა დედაკაცისა მამაკაცის მდგომარეობას—მე გიპასუხებთ: არა-მეთქი. ბევრი წელიწადი გაივლის, ბევრი საუკუნე დაილევა, ვიდრე ეგ მოხდება. ეგ ემანსიპაცია ბუნებურ პროცესის შედეგი უნდა იყოს, უნდა დედაკაცის აგებულებამ ღონე თანდათან იმატოს, ხორცეულად გაძლიერდეს სამოქალაქო წეს-წყობილებისა და სარჩო-ქონების გაძლიერებასთან ერთად. აქ თვითეული ცალკე მოქმედება რამდენისამე გონება-გაფიცხებულ ქალისა ვერას იზამს.

— თქვენ საჭიროდ ჰხედავთ, რომ დედათაც ხმა ჰქონდეთ სახელმწიფო საქმეებში?

— მე ჩემს დღეში ეგ არ მითქვამს. მე ვთქვი, იგინი მეტს სამოქალაქო უფლებას მოიპოვებენ და თანასწორობას მამაკაცთან. განა ამერიკაში მანდამდე არ მიაღწიეს დედაკაცებმა? საკუთრების მფლობელობაში წილი ჩაიდეს, კანონმა აღიარა იგინი მფლობელად ცალკე კუთვნილებისა, თავისს ქონებას როგორც უნდათ, სხვის დაუკითხავად, ისე ჰხმარობენ და სხვანი ამისთანა. ხოლო ინდომებენ თუ არა, რომ სხვა რამ უფლებაც მოიპოვონ, მაგალითებრ, ხმა იქონიონ არჩევანებში და სხვა ამისთანებში, ეგ ღმერთმა იცის.

— გწამთ-კი, რომ საზოგადოებრივ იმათი მდგომარეობა განკარგდება?

— უსათუოდ. ხოლო მწამს განკარგება თანდათანი. ჩვენა ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი გარემოება დედათა ცხოვრებისა დღე-და-დღე უფრო კეთდება. დედა-კაცი უფრო და უფრო თანაშემწედ და ამხანაგად უხდება მამა-კაცსა.

— თქვენი თანაგრძნობა, როგორც სჩანს, დედა-კაცისაკენ არის და მგონია, რომ თქვენს თვალში დედა-კაცს დიდი ფასი აქვს.

— მე ვერ გეტყვით, რომ ამ საგანზე ასე ვფიქრობ თუ ისე, იმიტომ რომ მე ჩემს წერილებში დედა-კაცებს ვხატავ და არას დროს არასფერს არ განვაზოგადებ ხოლმე.

— გგონიათ-კი რომ სარჩო საბადებელი, ქონებითი ყოფა-ცხოვრება დედა-კაცებისა ჰმატულობს და ძლიერდება?

— მგონია, იმოდენად, რამდენადაც საყოველთაოდ ჰმატულობს, თუ-კი ჰმატულობს სადმე, რისაც დიდი ეჭვი მაქვს. მე გაზეთებიდგან ვიცი, რომ აღმოსავლეთი დიდს ცილობას გაგვიმართავს, თუ ევროპაში დედა-კაცებს გზას გაუხსნიან ყოველ გვარ შრომისათვის და ამ სახით მოცილედ გახდიან მამა-კაცისათვის, გამარჯვება დედა-კაცებს არ დარჩებათ, ვიდრე დედაკაცი მამა-კაცზე ასე სუსტი იქნება ხორციელ ღონით, როგორც დღეს. დედა-კაცი ვერ გარდასცვლის თავისს ბუნებას იმოდენად, რომ მამა-კაცს ბრძოლა გაუსწოროს ყველგან და ყველაფერში. (ს. № 8)

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„ივერიის“ მე-2 №-ში დაბეჭდილი იყო ახალ ამბად, რომ „ტფილისის მართლ-მადიდებელ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიის მთავარ-დიაკვანს ეკკლესიის მახლობლად სასწავლებელი გაუმართავს და ბავშებს უსასყიდლოთ ასწავლის. ეს ბავშები ქართველ ღარიბ მრევლის შვილები არიანო.“ რადგანაც კუკიის მართლ-მადიდებელ სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიის მთავარ-დიაკვანი და ამ ეკკლესიასთან არსებულის სასწავლებლის მასწავლებელი მე გახლავართ, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს სიმართლე განვაცხადო მაგ ცნობის შესახებ.

კუკიის მართლ-მადიდებელ წმ. ნინოს ეკკლესიასთან არსებობს ჯერ-ჯერობით პირველ განყოფილებიანი სამრევლო სასწავლებელი წარსულის 1896 წლის 6 ოქტომბრიდგან. იგი დააარსა ექსარხოსის ვლადიმირის ნებართვით სასაფლაოს სამზრუნველომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე, აწ უკვე გადაყვანილი სხვა თანამდებობაზედ, ი. დ. ტატიშჩევი. სასწავლებელი მოთავსებულია სამზრუნველოს გალავანს გარეთ ეკკლესიის კრებულისათვის; დათმობილი აქვს ორი ოთახი—ერთ ოთახში შკოლაა მოთავსებული, მეორე-კი მოსწავლეთა დასასვენებლადაა დატოვებული. მოსწავლეთა რიცხვი ამ ჟამად 28. ამათ შორის სამი რუსია, დანარჩენი 25 ქართველი. მოსწავლე ქალთა რიცხვი აღემატება ვაჟთა რიცხვს; თუმცა მთხოვნელი სასწავლებელში შესვლისა ერთი ორად მეტი იყო, ვიდრე ამ ჟამად სწავლობს, მაგრამ ყველა ვერ დავაკმაყოფილეთ უადგილობისა გამო. სამზრუნველოს სახეში აქვს მომავალში გააფართოვოს იგი. სასწავლებლის წლიურ ხარჯად გადადებულია 25-დგან 30 თუმნამდე. თვეში 15 მანეთი სადგომ ოთახით სასწავლებლის მოსამსახურეს ეძლევა, დანარჩენი-კი სასწავლო ნივთებისა და სხვა წვრილმან ხარჯისათვის არის გადადებული. სამზრუნველოს წევრთა გარდაწყვეტილებით, სწავლა უსასყიდლოა, სასწავლო ნივთებიც უსასყიდლოდ ეძლევათ ბავშებს, რადგანაც ღარიბ დედ-მამის შვილები არიან. მე, როგორც მასწავლებელს, ჯამაგირი არ მეძლევა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ეკკლესიის კრებულმაც—მღვდლებმა, (ორი მღვდელია, ისინიც ირიცხებიან სამზრუნველოს წევრებად), და მედავითნეება (ორიც მედავითნეა) მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ სასწავლებლის კეთილდღეობაში. ექსარხოსის ვლადიმირის ნება დართვით მათგან განთავისუფლებულ ვიქმენ სწავლის დროს ყოველ დღიურ წესების აღსრულებისაგან, საძმო ფულიდგან-კი უწინდებური ნაწილი მეძლევა.

მთავარ-დიაკვანი დავით გარსიაშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 თებერვალი

**პეტერბურგი.** 26 თებერვალს პეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანა და დიდნი მთავარნი.

**პარიჟი.** სენატი. საზღვაოსნო საქმეთათვის ხარჯთ-აღრიცხვის გამო კამათობის დროს ადმირალმა ბენარმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ფლოტი ამ ჟამად კარგს მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც საჭიროა მისი გაძლიერება, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მხარეს, რადგანაც ჩვენც უნდა წავბაძოთ მტრებს, რომლებმაც ფლოტი განიძლიერესო.

გაზეთი „Temps“ ამბობს, რომ საბერძნეთის პასუხში გადაწყვეტილი უარი არ არის გამოთქმული და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებაო. გაზეთს საუკეთესო საშუალებად მიაჩნია ალყა შემოერტყას კრიტის კუნძულს სისხლ დაუღვრელად.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ბალფური ამბობს, რომ გარკორტი მხოლოდ სამართლიანს მსჯავრსა სდებს, როდესაც ამბობს, რომ მთავრობა სცდილობს, კრიტის საქმე მშვიდობიანად და მეგობრულად გათავდესო. მაგრამ მთავრობა ვერ შეიწყნარებს გარკორტის თხოვნას და პირობას ვერ მისცემს, რომ ბრიტანიის შეიარაღებული ჯარი პარლამენტის ნება-დაურთველად საქმეში არ გაერიოს. ამ გვარი დაპირება მოუხერხებელია და ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო წეს-წყობილების მიხედვით გამოწვეულს ზოგიერთ მაგალითებს. მთავრობას არ ესიამოვნება, თუ ვინიცობაა საჭიროდ აღმოჩნდა ბრიტანიის ჯარის საქმეში ჩარევა. იგი დარწმუნებულია, რომ ეს არის პოლიტიკა კრიტის თავისუფლებისა და ევროპის მშვიდობიანობისა. მთავრობას არ უნდა ამ პოლიტიკის შერცხვენა და ამიტომ ზემოხსენებულს პირობას ვერ მისცემს პარლამენტს, რადგანაც შესაძლებელია ამ პირობამ გაჭირვების დროს ხელი შეუშალოს მისს მოქმედებას. ბალფურმა დასძინა, არა მგონია, ხუთშაბათამდე მოლაპარაკებამ ისე წასწიოს წინ საქმე, რომ სხვა რამ განმარტება წარუდგინოთო პარლამენტს.

**კონსტანტინეპოლი.** საერთაშორისო ფლოტის ადმირალებმა მიჰმართეს კანდიაში მყოფ საბერძნეთის ელჩს, რომ მთელის საელჩოთი და საბერძნეთის ქვეშევრდომებით მიატოვეთ ეს ქალაქიო.

**ბელგრადი.** რუსეთის ელჩად ნამყოფი ბარონი როზენი დღეს მიდის ბელგრადიდგან. სერბიის ახალი ელჩი გრუიჩი დღეს დილით წავიდა პეტერბურგს.

**სოფია.** აქ მოვიდა საგანგებო ელჩი ჰაკი-ბეი და სულთანის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი მიუტანა მთავარს. მთავარი დიდხანს ელაპარაკა ჰაკი-ბეის.

**სოფია.** საერო კრებამ, დიდის ხმის უმეტესობით დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულობა ავსტრი-უნგრეთთან და სერბიასთან.

**პრეტორია.** პრეზიდენტი კრიუგერი ბლეფონტენში წავიდა ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკას შორის უფრო მჭიდრო კავშირის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

27 თებერვალი.

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ დეპეშით აუწყებენ: „კანდიის შესავალთან ხელ-ჩარეული ბრძოლაა ბაშიბუზუკთა და მეამბოხეთა შორის. ოსმალების შმხრივ 60 კაცია დაჭრილი და მოკლული. თოფის სროლა არ შეწყვეტილა; განრისხება ჰმატულობს; იმუქრებიან — ქალაქს ცეცხლს წაუკიდებთო“.

**ვენა.** ხმა დადის, რომ ავსტრია, გერმანია და რუსეთი ერთმანეთს დაეთანხმენ იმის შესახებ, რომ საბერძნეთის პასუხი დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლებაო. მოელიან, რომ დანარჩენი დიდნი სახელმწიფონიც ამავე აზრს გამოსთქვამენო.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ: „პოლკოვნიკს ვასოსს მთავრობამ მისწერა, — ერიდე დიდ სახელმწიფოთა ჯარებთან შეჰიდებას და კუნძულის შუა ადგილებისაკენ გაიწიეო. ათინის მთის სამმა ბერმა მთავრობას განუცხადეს, — მზადა ვართ ჩვენის ნებით ჯარში გავიდეთო. საბერძნეთის ესკადრა არტას ყურეში შევიდა ალყა შემოარტყა იქ მყოფ ოსმალეთის გემებს. კანეიდგან კერძო დეპეშა მოვიდა, რომ საბერძნეთის ვიცე-კონსული და საკონსულოს დრაგომანი და აგრედვე ბერძნულ გაზეთების კორესპონდენტები და კანეიაში მცხოვრები დანაშთენი ბერძნები ნაღმიანს გემში ჩასვეს და ჩერიგოში წაიყვანესო“.

**კონსტანტინეპოლი.** სამხედრო ხელმძღვანელს წრეებში ამბობენ, რომ საბერძნეთზედ ჯარით მისვლა არ გაგვიზრახავსო; ედხემ-ფაშას ებრძანა საგერს მოქმედებას ნუ გადასცდები, მხოლოდ ეცადე, ბერძნები საზღვარს არ გადმოსცილდნენო.

მთავარ ვეზირის მდგომარეობა შერყეულად მიაჩნიათ. ხმა დადის, ეს თანამდებობა სმირნაში მყოფს ქიამილ-ფაშას შეაძლიოს, მაგრამ იმან უარი განაცხადაო. აგრეთვე მოლაპარაკება განაახლეს ქუჩუკ-საიდ-ფაშასთან, მაგრამ, ქუჩუკის მიერ წარმოდგენილ პირობებისა გამო, ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

**კონსტანტინეპოლი.** პორტა აღარ ჯიუტობს, კრიტის გუბერნატრად უთუოდ ოსმალეთის ქვეშევრდომი იყოსო. იმისათვის სადიპლომატო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ შესაძლოა კრიტით თვით-მმართველობა აღმოსავლეთ რუმელიის თვით-მმართველობის მსგავსად მოეწყოსო.

**კანეა.** ის ამბავი, რომ სიტიაში მაჰმადიანები გაჟლიტესო, რომელსაც წინად უარს ჰყოფდნენ, ეხლა მართლდება. მაჰმადიანებმა მოითხოვეს, რომ საქმის გამოსაძიებლად კომისია დანიშნოსო. უცხო ქვეყნების კონსულები, მოწმეების ჩვენების თანახმად, იუწყებიან, რომ ალბინიასა, სივას და ეპისკოპაში 400 კაცია მკვდარიო. კონსულთ დახოცილთა სახელწოდების სიებიც უნახავთ. სიაში 66 კაცი მოუკლავთ, 32 დედაკაცი და 70 ბავშვი. ამას გარდა სხვა მრავალიც არის დახოცილი, რომელთა ვინაობა არავინ იცის. კინნიონში დახოცილთა რიცხვი ჯერ არ იციან. კანდიაში გაქცეულთა რიცხვში 9 კაცი დაჭრილია და მათ შორის 4 წლის ბავშვი რომელსაც ყელი აქვს გაჭრილი, ყურები დაჭრილი პატარა ქალი და რამდენიმე დედაკაცი, რომლებიც ან ტყვიით არიან დაჭრილნი და ან ხმალ-ხანჯლით.

**ბელგრადი.** ყველა სათადარიგო ჯარის-კაცს და აგრეთვე ორივე რიგს მილიციას რვა დღის ვადით მარტში და აპრილში სამხედრო სავარჯიშოთ იბარებენ.

პეტერბურგის ბირჟა 25 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| რუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 6%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 210¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101⅛ | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅛ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | 78⅞ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 278½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 258 |

**სია ქართველ მამულის პატრონთა, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ქალაქის ამომრჩეველთა ნუსხაში არიან მოქცეულნი.**

შემდეგი *)

ქალაქის ამომრჩეველნი — მონაწილენი

არდაზიანები: ეკატერინე იოსების ასული და შვილნი მისნი: კონსტანტინე, დავითი და ქალიშვილი მარიამი.

არჯევანიძენი: ქვრივი ეკდოკია, ზაქარია, ანტონი და ნიკოლოზი.

ბაქრაძენი: ყაფლან დავითის ძე და ცოლი მისი თინათინ იოსების ასული.

ბალუევები: იოსები და ალექსანდრე ლუარსაბის ძენი და ლავრენტი იოსების ძე.

ბებუთოვები: მარიამ სოლომონის ასული (ამ ჟამად მეორე ქმრით ფალავანდიშვილისა), შვილი გიორგი და ქალიშვილი ნინო.

ბეგიაშვილები: მარიამ დავითის ასული და სიმონ და ივანე გრიგოლის ძენი.

ბერელაშვილები: ვასილ გრიგოლის ძე და ადამ ზურაბის ძე.

ბუტულაშვილები: მარიამ ვასილის ასული, ვასილ და ალექსანდრე ალექსის ძენი და ნინო და ოლღა ალექსის ასულნი.

გაბაშვილები: ვასილ ილარიონის ძე და იაზონ იაგორის ძე.

გაბაშვილები: კონსტანტინე, ალექსანდრე, ბესარიონი და სიმონ დავითის ძენი.

გარსევანიშვილები: ელისაბედ ივანეს ასული და დავით გრიგოლის ძე და კვალიაშვილისა ნატალია გრიგოლის ასული.

გოგინაშვილები: თომა და ვასილი.

გოდერძიშვილები: ვასილი და ქვრივი ბარბარე.

გრატიაშვილები: დავით და იაზონ ისაკის ძენი.

კნ. გრუზინსკისანი: ელისაბედ და ეკატერინე ირაკლის ასულნი.

გრუზინსკები, კნ. მარიამ ისაკის ასულის მემკვიდრენი.

დალაქიშვილები: ნატალია ბაიანდუროვისა და ალექსანდრე ანტონის ძე.

დეკანოზიშვილებისა: ქვრივი ბარბარე გრიგოლის ასული და ქალიშვილი ეკატერინე იმხნელისა (ქმრის გვარით).

დეკანოზიშვილები: მარიამი და გიორგი.

ჯასტანიძენი: ეკატერინე და კონსტანტინე.

ჯასტანიძენი: ეკატერინე, ალექსი, ვლადიმერი და ნინო.

ქორღოლიანები: სტეფანე, გიორგი და მარიამი.

ზაალიშვილები: ელისაბედი, პეტრე და ალექსანდრე.

ზუბალოვები: ალექსანდრე დავითის ძე და აბაშიძისა მარიამ ნიკოლოზის ასული.

ზუბალოვები: კონსტანტინე და ალექსანდრე იაკობის ძენი და მაისურაძე ივანე ივანეს ძე.

ზუბალოვები: პეტრე, სტეფანე და იაკობ კონსტანტინეს ძენი.

იოსელიანები: ქვრივი ნატალია და შვილნი ეგნატე, გიოგი და ივანე ონისიმეს ძენი.

ისარლოვები: ფელომინა პეტრეს ასული და ივანე და გიორგი ზაქარიას ძენი.

კავალსკები: ნინო სტეფანეს ასული, იული გილევიჩი, ელენე ანდრონიკაშვილისა და სოფიო ჯაყელისა.

ყარაშვილები: ნიკოლოზ ანდრიას ძე და ანნა ფრანცის ასული.

ყარალაშვილები: ალექსანდრე და ზაქარია ივანეს ძენი.

ქართველიშვილები: მარიამი, მართა, დარია და ოლღა მიხეილის ასული და ივანე მიხეილის ძე.

კაციტაძენი: სოლომონ და ნესტორი.

კვეზერელი კობაძენი: ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი.

კვეზერელი-კობაძენი: ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი და გაბაშვილისა ნინო.

კობალაძენი: ალექსანდრე და წამალაშვილი ეფემია სოლომონის ასული.

კალოუბნელები: ეკატერინე დავითის ასული, ალექსანდრე დიმიტრის ძე და დარია დიმიტრის ასული.

კალოუბნელები: კონსტანტინე და გიორგი მიხეილის ძენი.

კოტეტაშვილები: ნინო და ოლღა.

ლევანიძენი: ნიკოლოზი და ალექსანდრე სიმონის ძენი და მარიამ და ანასტასია სიმონის ასულნი.

ლომიძენი: დავითი, გიორგი, მაგდან და ნატალია.

მაისურაძე, იაგორ იოსების ძე და ხოჯაფარუხოვი ალექსანდრე გრიგოლის ძე.

მამულაშვილები: ლევან და ელენე.

მაჭავარიანები: ზაქარია და თედო ანდრიას ძენი.

მელიქიშვილები თავადნი.

მესხიშვილები: ივანე და კონსტანტინე იოსების ძენი.

მჭედლიშვილისა ელისაბედ და ელიოზიშვილისა ელენა.

მჭედლიძენი: სტეფანე და ანდრიას მოსეს ძენი.

ნიჟარაძე გიორგი პეტრეს ძე და ხარხარაშვილი გრიგოლ ილარიონის ძე.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 35.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ცხოვრება და სასწაულთ-მოქმედება

**სვიმონ მესვეტისა**

გამოცემა წყალ-წმინდის ძმობისა.

**ფასი ერთი შაური**

(3 – ნ. — 1)

**ნ ი ხ რ ი**

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ღორის ხორცი 1 ხარისხისა

უძვლესკოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.

სუკი 1 გირვანქა . . . . 12 „

ცხვრის ხორცი უძვლესკოდ 1 გირვანქა . . . . . . . 8 „

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

**ბაქტრიონი**

ისტორიული პოემა

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ი.

(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).

შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)

**ფასი ერთი აბაზი,**

უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе.

(5—5)

წრეულს

**„მეურნე“**

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

წელს რედაქცია წინანდელებრ ერთგულად ეცდება გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიურსა და საჭიროებო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მიმატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუჭირვებლად შევსძლებთ მარჯვედ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, ბებუთის ქუჩის გადასასვლელში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მომავალ წლისათვის მზად აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის კ. პეტრიაშვილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მარეში, ბ. დავიდოვისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ზუმბასი და სხ.

**მეურნის ფასი — წლით 4 მანათი, ნახევარის წლით 2 მანეთ ნახევარი.**

წლიურ ხელისმომწერთ დამლევამდი მიეცემათ ხუთხუთი ძირი ამერიკულ ვაზისა

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція **„МЕУРНЭ“** (5—2)

მოყვანილია გასასყიდად

ჭაჭი ისმაილ-ოღლის ბაღიდგან

**სოფ. ბელაქანში**

**ხეხილები**

(1, 2 და 3 წლის ნამყენი)

ისყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ბარიატინსკის ქუჩა). (3—ნ.—2)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ**

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

**„Новое Обозрѣніе“**

(четырнадцатый годъ изданія)

Въ 1897 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы ежедневно, но программѣ большихъ столичныхъ газетъ.

**Условія подписки**: съ пересылкою и доставкою: на годъ — **10 р.** на полгода — **6 р.**, на три мѣсяца — **3 р., 50 к.**, на одинъ мѣсяцъ **1р 50 к.**, **За границу**: на годъ — **17 р.**, на полгода — **9 р.**, на три мѣсяца — **5 р.**, Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца) Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ — **7 р.** полгода — **4 р.**

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногороднихъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., къ 1-му марта — 2 р., къ первому мая — 3 р. и къ 1-му сентября — 2 р.,

Подписка и объявленіе принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты**, Барятинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“**

(3. – э. — 4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.